პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 13 სექტემბერი, 1946 წ. № 184 (7707). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უდანაკარგოდ ავიღოთ და გადავზიდოთ შაქრის ჭარხალი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).
უშიშროების საბჭოში (1-ლი გვერდი).
საქართველოს საბჭოთა მწერლების მე-3 ყრილობა (1-ლი გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-2 გვერდი).
გამოცდილების ტრიბუნა — როგორ მიიღეს ჰექტარზე 200 ფუთი პური (მე-3 გვერდი).
სამშენ მასალათა საწარმოები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ (მე-3 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში—სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-2 და მე-4 გვერდი).

უდანაკარგოდ ავიღოთ და გადავზიდოთ შაქრის ჭარხალი

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით მეჭარხლეობამ ჩვენს რესპუბლიკაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. აღიზარდნენ შაქრის ჭარხლის მოყვანის შესანიშნავი ოსტატები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ ძვირფასი კულტურის მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. მეჭარხლეთა შორის ფართოდ გაიშალა მოძრაობა სტახანოვური ჰექტარების სანიმუშოდ დამუშავებისათვის. ბევრი კოლმეურნე სტახანოვური ჰექტარიდან სარეკორდო მოსავალს იღებს. მაგალითად, კოლმეურნე გიორგი ნოზაძემ საუკეთესოდ მოუარა მისთვის მიჩენილ სტახანოვურ ნაკვეთს და ნახევარ ჰექტარ ურწყავ მიწაზე 300 ცენტნერ ჭარხალს გვპირდება. გორელი კოლმეურნე ანა ხმიადაშვილი წელს ერთ ჰექტარზე 1.300 ცენტნერ ჭარხალს მოიწევს.

შაქრის ჭარხლის მოსავალს რესპუბლიკაში წელს კარგი პირი უჩანს. მაგრამ კარგი მოსავალი უდანაკარგოდ ალებას, მიმღებ პუნქტებსა და ქარხანაში დროულად გადაზიდვას საჭიროებს. მეჭარხლეთა ღირსების საქმეა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ამ საპასუხისმგებლო სამუშაოს. მათ აუღებელი და გადაუზიდავი არ უნდა დასტოვონ არც ერთი ძირი ჭარხალი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ცენტნერი ნედლეულის დაკარგვა ნიშნავს დავკარგოთ ერთი ფუთი შაქარი, რაც დანაშაული იქნება სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

შაქრის ჭარხლის აღებისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან მთელი რიგი კოლმეურნეობები. კასპის რაიონის სოფელ შუაუბნის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში აქლიათ ჭარხლის ამოსათხრელი ხელსაწყოები, სამთითები, ურმები. უკეთესი მდგომარეობა არ არის სოფელ ბალთისა და ახკინეთის კოლმეურნეობებში (სამხრეთ-ოსეთი). ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სასწრაფოდ მივიღოთ ზომები.

შაქრის ჭარხლის შეუფერხებლად აღებისათვის მიზანშეწონილია ფართოდ დავნერგოთ აგრონომ პ. იარმოშენკოს მიერ შემუშავებული ჭარხლის გაწმენდის ახალი წესი. მისი უპირატესობა ის არის, რომ დანაკარგი მინიმუმამდე დაჰყავს, შრომის ნაყოფიერებას ზრდის სულ მცირე 30 პროცენტით, შაქრის გამოსავლიანობას თვითეულ ჰექტარზე ადიდებს 1-2 ცენტნერით.

შარშან ეს ახალი მეთოდი კოლ...

... ჭარხლის გაწმენდას ახალი მეთოდით ეწეოდეს თვითეული კოლმეურნეობა. ეს ხელს შეუწყობს სამუშაოთა ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, გაზრდის შაქრის გამოსავლიანობას.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ შაქრის ჭარხლის აღებისა და გადაზიდვის დაშორიშორება. გადაზიდვის გრაფიკის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად და ნედლეულით აგარის შაქრის ქარხნის უზრუნველსაყოფად. ჭარხალი ამოღების არა უგვიანეს მეორე დღისა გადაზიდულ უნდა იქნას მიმღებ პუნქტებში.

გადაზიდვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტოტრანსპორტის მთლიანად გამოყენებას. გარდა ამისა, თვითეულ კოლმეურნეობას მოეთხოვება გამოჰყოს მუშაპირუტყვის საჭირო რაოდენობა ამ სამუშაოს შესასრულებლად.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კარგად შეკეთებულ მისასვლელ გზებს მიმღებ პუნქტებთან. ამ საქმეს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ჭარხლის განიავების ალსაკვეთად აუცილებელია მოვაწესრიგოთ მოსავლის ზუსტი აღრიცხვა როგორც აღების, ისე გაწმენდისა და გადაზიდვის დროს. ამას მარტო საანგარიშო დარგის მუშაკები ვერ გასწვდებიან. ეს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, რაიმიწგანების, ტექნიკური კულტურების განყოფილებათა და მტს-ების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა. ისინი ვალდებული არიან მტკიცე კონტროლი განახორციელონ აღრიცხვისადმი.

საკავშირო მთავრობის მიერ დაწესებულია მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებანი ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისა და დამზადების გეგმების შესასრულებლად. საჭიროა ეს პირობები ყველა მეჭარხლეს გავაცნოთ, განუხრელად გავატაროთ, რაც კიდევ უფრო დააინტერესებს კოლმეურნეებს წარმატებით შეასრულონ დავალება. სერიოზულ მუშაობას მოითხოვს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის განხორციელება. ამ მხრივაც წარმატებას სწყვეტს შრომის კარგად მოწესრიგება. როგორც წესი, საჭიროა ჭარხლის მოსავალი აღირიცხოს თვითეული რგოლისა და მის შიგნით ცალკეული კოლმეურნისათვის მიჩენილი სტახანოვური ნაკვეთის მიხედვით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კოლმეურნის შრომის სათანადოდ ანაზღაურება.

საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული აგარის შაქრის ქარხნის ხელმძღვანელებისა და მთელი კოლექტი...

... დღეებში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, მთლიანად შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, უდანაკარგოდ აიღონ და გადაზიდონ შაქრის ჭარხლის მთელი მოსავალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1946 წელს საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

განიხილა რა საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ პირუტყვის გამოზამთრებისა და მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო შედეგებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში 1946 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით გამარჯვებულებად სცნო შემდეგი რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, რაიონები და **დაადგინა:**

1. ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით:

ა) გადაეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და მიეცეთ:

პირველი ფულადი პრემიები: ყირგიზეთის სს რესპუბლიკას,

ყაზახეთის სს რესპუბლიკის გურიევის ოლქს,

მეორე ფულადი პრემიები: თურქმენეთის სს რესპუბლიკას,

სტალინგრადის ოლქს,

დაღისტნის ასს რესპუბლიკას,

ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის ოლქს,

ომსკის ოლქს;

ბ) აღინიშნოს საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში კარგი მუშაობა:

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა, ასტრახანის, ყირიმის, დნეპროპეტროვსკის, გროზნოს, სტალინოს, ჩელიაბინსკის, მოლოტოვის ოლქებისა, ყაბარდოს და უდმურტეთის ასს რესპუბლიკებისა, კრასნოიარსკის, ალტაის მხარეებისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკისა.

2. რაიონების მიხედვით:

გადაეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და მიეცეთ ფულადი პრემიები:

სტალინგრადის ოლქის სარპინსკის რაიონს

ყირიმის ოლქის კრასნოგვარდეისკის რაიონს

ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყარაგანდის ოლქის კარკარალინსკის რაიონს

ყაზახეთის სს რესპუბლიკის გურიევის ოლქის ნოვობოგატინსკის რაიონს

ყაზახეთის სს რესპუბლიკის ალმა-ათის ოლქის ჯამბულის რაიონს

სომხეთის სს რესპუბლიკის კალინინის რაიონს

როსტოვის ოლქის ცელინის რაიონს

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის თაუზის რაიონს

დაღისტნის ასს რესპუბლიკის ხუნძახის რაიონს

ტიუმენის ოლქის ვიკულოვის რაიონს

ომსკის ოლქის შერბაკულის რაიონს

ჩელიაბინსკის ოლქის ვარნის რაიონს

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩრდილოეთ რაიონს

მოსკოვის ოლქის გლუხოვიცის რაიონს

კრასნოიარსკის მხარის ხაკასეთის ავტონომიური ოლქის ასკიზკოეს რაიონს

უზბეკეთის სს რესპუბლიკის სამარყანდის ოლქის ნურ-ატის რაიონს

სვერდლოვსკის ოლქის სეროვის რაიონს

უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის ზღვისპირეთის რაიონს

უკრაინის სს რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის ვასილკოვკის რაიონს

უკრაინის სს რესპუბლიკის პოლტავის ოლქის კობელიაკის რაიონს.

3. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1946 წლის III კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროსათვის გამოჰყოს 2,5 მილიონი მანეთი იმ ოლქების, მხარეების, რესპუბლიკებისა და რაიონებისათვის პრემიების მისაცემად, რომლებიც 1946 წლის 1 ივნისისათვის არსებული შედეგების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მე-3 ყრილობა

7 სექტემბერს გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა. ...

... რმა ნ. კეცხოველმა, ა. მაშაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, სსრ კავშირის სა...

თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამედიცინო საზოგადოების მოღვაწეები სტიუარდ მადი და რობერტ ლესლი

თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამედიცინო საზოგადოების პრეზიდენტი ბ-ნი სტიუარდ მადი მეუღლითურთ და გამომცემლობა „საბჭოთა მედიცინის ამერიკული მიმოხილვის" ხელმძღვანელი ბ-ნი რობერტ ლესლი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრები გაეცნობიან თბილისის სამედიცინო, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობას. ისინი რამდენიმე დღეს დაჰყოფენ საქართველოში. (საქდესი).

თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი საზოგადო მოღვაწე დენის ნ. პრიტი

თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე სსრ კავშირთან ინგლისის კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე პარლამენტის წევრი ბ-ნი დენის ნოელ პრიტი სსრ კავშირთან ინგლისის კულტურული კავშირის საზოგადოების მდივნის ქ-ნ ჯუდით ტოდის თანხლებით.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე ქალაქ თბილისის საზოგადო და მეცნიერი მოღვაწენი.

დენის ნ. პრიტი და ჯუდით ტოდი საქართველოში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. (საქდესი).

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება მესამე სრულიად სლავთა კონგრესზე ამერიკის შეერთებულ შტატებში

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს შესდგა უშიშროების საბჭოს 64-ე სხდომა, რომელზეც გრძელდებოდა განხილვა უკრაინის განცხადებისა იმის შესახებ, რომ საბერძნეთის მთავრობის მოქმედება ...

... მომადგენელმა დენდრამისმა დაუშვა საბჭოს სხდომაზე. მან აღნიშნა, რომ სურს შეჩერდეს საბერძნეთ-ალბანეთის ურთიერთობის მხოლოდ ფაქტიურ მხარეზე. ტუკ იაკოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დენდრამისმა რამდენჯერმე ...

... ისევე, როგორც იგი პატიოსნად ასრულებდა თავის ვალდებულებებს ომიანობის დროს.

ტუკ იაკოვა გადავიდა საბჭოს განსახილველად მდგომ საკითხზე და განაცხადა, რომ იგი საბჭოს დროს არ წაართმევს პასუხის გაცემით იმ უნიადაგო ბრალდებებსა და შეურაცხყოფაზე ალბანეთის მიმართ, რაც საბერძნეთის წარ...

სიტყვა მიეცა საბერძნეთის დელეგატს დენდრამისს, რომელიც თავის მოკლე გამოსვლაში იცავდა ბერძენ მონარქისტ-რეაქციონერებს და თავს ესხმოდა დემოკრატიულ ძალებს.

შემდეგ, თავმჯდომარის ლანგეს წინადადებით, უშიშროების საბჭომ თავისი სხდომები გადასდო 11 სექტემბრის საღამომდე.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. ...

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის სამმართველოების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებისათვის გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო დაღუპულ მეომართა ოჯახების, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების და ომისა და შრომის ინვალიდების პენსიებით უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის საქმე გაერთიანებულ იქნას სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს დაეკისრათ დაღუპულ მეომართა ოჯახების უზრუნველყოფა პენსიებით, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების უზრუნველყოფა დახმარებით, აგრეთვე დაღუპულ მეომართა ოჯახებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შრომითი და ყოფაცხოვრებითი მოწყობა. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის სამმართველოები, რომლებიც წინათ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან იყვნენ შექმნილნი, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს გადაეცა. (საქდესი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე

რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიაში რუმინეთის დელეგაციის წარმომადგენლის გამოსვლა

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისია განაგრძობს რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის განხილვას. დღევანდელ სხდომაზე, ისევე როგორც ორ წინა სხდომაზე, განიხილებოდნენ ხელშეკრულების ის დანართი, რომელიც ეხება სამრეწველო, სავაჭრო...

...მან საჩქაროდ დასძინა: „იღებს რა მხედველობაში, რომ ეს ქონება, შესაძლოა, საერთო არ იყოს, ბრიტანელი დელეგაცია უფლებას იტოვებს მიიღოს ანაზღაურება იტალიის მთავრობისაგან პირდაპირი მოლაპარაკების გზით".

...რუმინეთის ეკონომიკას, გააძლიერებს მის დამოკიდებულებას უცხოეთის კაპიტალზე, გამოიწვევს განსაკუთრებული პრივილეგიების დაწესებას უცხოეთის კომპანიებისათვის და სავსებით აშკარა დისკრიმინაციას რუმინელ მოქალაქეთა მიმართ. რუმინეთის დელეგაციის სახელით მან ითხოვა უარყოფილ იქნას ეს მოთხოვნა.

დასაბუთებული პრეტენზიები და საეჭვო პრეტენზიები იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიამ დაამთავრა იტალიის მთავრობისათვის წარდგენილი სარეპარაციო პრეტენზიების მოსმენა. ორი დღე გრძელდებოდა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლა, რომლებიც რეპარაციებს მოითხოვენ; ცამეტი ქვეყნის დელეგატებმა თავიანთი პრეტენზიები სიტყვიერად წარადგინეს; გარდა ამისა, მიღებული წერილობითი მემორანდუმები ლათინური ამერიკის...

...სხვა სახელმწიფოების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაბამისად.

სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება დასტოვა, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის გამოსვლამ. საბჭოთა პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა, რომ დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც იტალიის წინააღმდეგ ომის მსვლელობაში დიდი ბრიტანეთისა და მისი კოლონიებისათვის მიყენებული...

უნგრეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შედგა უნგრეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ორი შესწორების განხილვის მიზნით შექმნილი ქვეკომიტეტის პირველი სხდომა. პირველი შესწორება ეხება ვენის არბიტრაჟს, მეორე — უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მცირე შესწორებას ბრატისლავის რაიონში.

ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია პტუხა (უკრაინა), მომხსენებლად — კოსტელო (ახალი ზელანდია).

იტალიის რეაქციული პრესის ცილისმწამებლური პარიზში

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლის ვიშინსკის გამოსვლამ, იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხისადმი მიძღვნილმა, ფართო გამოძახილი ჰპოვა პრესაში. როგორც პარიზის გაზეთმა „ლიბერასიონმა" აღნიშნა, ვიშინსკიმ „არაჩვეულებრივი ენერგიით...

...ცილისწამების საქმეთა რომაელმა ოსტატებმა აიღეს ეს უდავო და საქმეთა ჭეშმარიტი შენიშვნა ფაშისტ ვაგლან მეომართა შესახებ, ებუმად დაამახინჯეს იგი და შემდეგ ვიშინსკის მიაწერეს ისეთი გამოთქმები, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ისინი არ მოერიდნენ იმას, რომ ეს გამოთქმები მიეკუთვნებინათ არა ფაშისტური სამხედრო ხროვისათვის, როგორც...

...და რა ფაშისტურ სამხედრო ხროვას, როგორც სჩანს, მისდევდა ჯიოვანი ჯენტილეს ტიპის იტალიელი პოლიტიკოსებისა და მისი მსგავსი ფაშისტი მელაძნელების სავალალო ტრადიციას, რომლებსაც იტალიის სამხედრო ხროვა, როგორც გენერლები დე ბონო, გრაციანი, მესე და სხვები, თითქმის ძველი რომის გმირებად და ტრიუმფატორებად გამოჰყავდათ.

...ლური პარიზში ვერ შესძლებს იმ სამწუხარო ფაქტის დაფარვას, რომ ბონომი იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში იტალიის მთავრობის სახელით გამოვიდა დამპყრობლური გეგმებით და იცავდა ინტერესებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა იტალიის ეროვნულ ინტერესებთან, იტალიელი ხალხის ინტერესებთან.

იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს იტალიის პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხების კომისიის სხდომაზე აღიძრა საკითხი, რათა შეიქმნას ქვეკომისია ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის პროექტის განსახილველად.

ინგლისის დელეგატი წინააღმდეგია კამათისა სტატუტის შესახებ

თავმჯდომარემ ეველიანმა (სამხრეთ აფრიკის კავშირი) წინადადება შეიტანა სტატუტის პროექტი არ იქნას განხილული კომისიაში და კამათი გადატანილ იქნას ქვეკომისიაში. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ინგლისის დელეგატმა მაკნეილმა, რომელმაც განაცხადა, რომ „კომისიას შეუძლია კამათი არ გამართოს" და რომ დელეგატებს შეუძლიათ თავიანთი მემორანდუმები, წინადადებანი და შე...

...დელეგატს, არ შეიძლებოდა უცნაურად არ მოჩვენებოდა კომისიის წევრებს. სწორედ იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში მთელი ოთხი სხდომა მოუნდა იმ საკითხის განხილვას, რომ საფრანგეთს გადასცემოდა პატარა უდაბური ზეგანი მონ-ტაბორი, სადაც 25 კაცი ცხოვრობს, მაშინ დიდი ბრიტანეთის დელეგატები არ ჩქარობდნენ; პირიქით, ისინი მომხრე...

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მოხსნა მთელი რიგი თავისი შესწორებანი

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ საზავო კონფერენციის განსახილველად შეიტანა საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მიერ განუხილველი მთელი რიგი წინადადებანი. ზოგიერთი მათგანი არის მინისტრთა საბჭოში უკვე შეთანხმებული გადაწყვეტილების შესწორება და ხშირად ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებებს.

უკანასკნელ დღეებში, მინისტრთა საბჭოს მითითებების შესაბამისად, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები რეგულარ...

...იტალიის საზღვრის მუხლების შესწორებათა გამო. დღეს ეს შესწორებანი ამერიკის დელეგაციამ მოხსნა.

იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის დღევანდელი სხდომა დამთავრდა იუგოსლავიის დელეგატ ბებლერის გამოსვლით, რომელიც იცავდა ბენეშის სლოვენიის რაიონში, რომელსაც სხვანაირად ეწოდება ვენეციის სლოვენია, იტალია-იუგოსლავიის საზღვრის იუგოსლავიის მიერ შემოტანილ ცვლილებებს.

ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 45-50 ათასი სლოვენი, იტალიელები აქ ძალიან ცოტანი არიან. ბენეშის სლოვენიის მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა განთავისუფ...

...მოსავლეთი ნაწილის გადაცემა შესაძლებელია, იძლევა მოისპოს იუგოსლავიის ტერიტორიაში ღრმად შეჭრილი სოლი.

იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების განხილვა

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია განაგრძობს იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების განხილვას. ორ წინა სხდომაზე იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბებლერმა დაასაბუთა იუგოსლავიის წინადადებანი ამ საზღვრის გასწორების შესახებ კანალის ველისა და ბენეშის სლოვენიის რაიონებში, რომელსაც აგრეთვე ვენეციის სლოვენია ეწოდება.

უკრაინის დელეგაცია მხარს უჭერს იუგოსლავიის წინადადებას

დღეს კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის დელეგაციის წარმომადგენელი პეტროვსკი. მან ხაზგასმით აღნიშნა იუგოსლავიის მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების დიდი მნიშვნელობა იუგოსლავიისათვის ბენეშის სლოვენიის ნაწილის გადაცემის სასარგებლოდ.

სრულიად უდავოა ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია სლოვენებით არის დასახლებული. სლოვენები აქ ათიათასობით არიან, ხოლო ...თითქმის არ არიან. იტალიის ...აღწერამაც კი დაადასტურა ...ვის მხარეზეა აგრეთვე ისტო...მენტი. საუკუნეების განმავლობაში სლოვენიის მოსახლეობა იბრძოდა ...ეროვნული სლოვენური კულტურის, თავისი ენის, თავისი ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებისათვის, იგი მონაწილეობდა იტალიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იუგოსლავიელი ხალხების გამათავისუფლებელ ბრძოლაში.

უკრაინის დელეგაციის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ბელორუსიის დელეგაციის წინადადებას, რომელიც მოითხოვს იუგოსლავიის შემადგენლობაში ბენეშის სლოვენიის აღმოსავლეთი ნაწილის შეტანას.

„მართალია, 20 ათასამდე სლოვენი კვლავ დარჩება იტალიის ხელქვეით, — სთქვა პეტროვსკიმ, — უკეთესი იქნებოდა მათაც რომ შესძლონ თავის სამშობლოსთან შეერთება. მაგრამ ბელორუსიის დელეგაციის მიერ წამოყენებული ხაზი უფრო სამართლიანი გადაწყვეტაა, ვიდრე ფრანგული ხაზი".

უკანასკნელი ცნობები

გომინდანის მფრინავებს არ სურთ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ომში

ნანკინი, 11 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სააგენტო იუწყება, გომინდანის ...მფრინავებმა ...რომლებიც ...დამვებულიყვნენ განთავისუფლებულ რაიონში ხენანის პროვინციის ...ნაწილში, განაცხადეს, რომ გომინდანის პირადი შემადგენლობის ...არ სურს მონაწილეობა მიიღოს ...ომში. აღნიშნული მფრინავები ...ჩავიდნენ მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის ჯარების განლაგების რაიონში.

მფრინავების სიტყვით, გომინდანი ახორციელებს „სასტიკ კონტროლს აზრებისადმი", საავიაციო ძალების პირადი შემადგენლობის აზრებისადმი. იმ პირებს, რომლებსაც არ სურთ მონაწილეობა მიიღონ ხანგრძლივ სამოქალაქო ომში, სჯიან. გომინდანის მფრინავები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ამერიკელები ხელისუფალნი ცუდად ეპყრობიან მათს ოჯახებს.

გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ და ამერიკულ ზონებში აღმოჩენილია განძები

ლონდონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ...ადთო გადმოგვცემს, რომ ბრიტანელმა და ამერიკელმა ოფიცრებმა გერმანიის ...ონებს და კონფისკაცია უყვეს ...ბათა ახალ განძებს, რომლებიც ...გერმანიის კაპიტულაციამდე ...ადრე დაუმალავთ. ძებნა დაიწყო ...ის შუალამისას. დღემდე კონფისკაციამდენიმე მილიონი დოლარის ...ბანი და ძვირფასეულობა ...ნები. ბრიტანეთის ზონაში დაპატიმრებულია 40 კაცი.

მითითებებს, რომლებმაც გამოიწვია ძვირფასეულობათა ძებნა, შეიცავდნენ კეთილშობილ ლითონთა საიმპერიო ბიუროს დოკუმენტები, რაც მოკავშირეებმა ბერლინში აღმოაჩინეს ივნისში. ბრძანება ძვირფასეულობათა ძებნის დაწყების შესახებ გაცემულ იქნა მხოლოდ რამდენიმე თვის გულმოდგინე გამოძიების შემდეგ.

გადაწყვეტილება იაპონიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვის გამოცხადების შესახებ

ტოკიო, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ...ცუსინის სააგენტო იუწყება, ...მეზღვაურთა კავშირის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მეზღვაურთა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მიიღეს ჰექტარზე 200 ფუთი პური

პურეულის კარგი მოსავალი მოიყვანა წელს საგარეჯოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო პუნქტმა (დირექტორი აგრონომი ა. კალანდარიშვილი). სამგორის მიწებზე ძოურწყავად მიღებულია ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი ხორბალი, 29 ცენტნერი შვრია და 30 ცენტნერი ქერი. კარგი პური უჩანს სიმინდისა და მზესუმზირის მოსავალსაც.

პუნქტი მტკიცედ იცავს თესლბრუნვის გეგმას. ამ გეგმის საფუძველზე მარშან შემოდგომაზე ხორბალი (დოლის პური) ნაქერალზე დათესეს. ამისათვის მარშანწინ ნიადაგი მოსავლის აღებისთანავე აოშეს 6-7 სანტიმეტრის სიღრმეზე. შემდეგ, როცა სარეველა მცენარეები მთლიანად ამოცენდა, მიწა შავ ანეულად მოხნეს 24-25 სანტიმეტრზე. ადრე გაზაფხულზე, როგორც კი მინდვრად მუშაობა შესაძლებელი შეიქნა, ანეული დაფარცხეს რკინის ფარცხით („ზიგზაგით") ხნულის გარდიგარდმო. სარეველების ამოცენების შემდეგ ტრაქტორის კულტივატორით ჩაატარეს კულტივაცია 7-8 სანტიმეტრის სიღრმეზე. სადაც ტრაქტორით მოხვნა არ ხერხდებოდა, კულტივაციას ატარებდნენ გადასახნავი უფრთო გუთნით. კულტივაციას ატარებდნენ შემდეგაც გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში, საჭიროების მიხედვით, ესე იგი მაშინ, თუ სარეველა მცენარეები ამოიცენდებოდნენ, ან წვიმის შედეგად მიწის ზედაპირი ქერქს გაიკეთებდა.

შემოდგომაზე, თესვამდე 20 დღით ადრე, დაახლოებით 20 სექტემბრისათვის, მიწა გადახნეს 12-13 სანტიმეტრის სიღრმეზე ფარცხვის თანმიყოლებით. ხორბალი დათესეს რაიონისათვის საუკეთესო ვადებში — 21 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე, სათესი მანქანით, მწკრივად.

რადგან სამგორის ველზე ხშირად იცის ძლიერი ქარები, თესვა ჩაატარეს 6 სანტიმეტრის სიღრმეზე და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, იმგვარად, რომ მწკრივთა შორის ქარი არ მოძრაობდეს. მწკრივები ერთმანეთს დააშორეს 15 სანტიმეტრით.

თესლის რაოდენობა დამოკიდებულია მის ხარისხზე — აღმოცენების უნარსა და აბსოლუტურ წონაზე. იმ შემთხვევაში, თუ თესლი საუკეთესოა, ჰექტარზე დაახლოებით 130 კილოგრამს სთესენ, ნაცვლად რაიონისათვის გათვალისწინებული 150 კილოგრამისა. ცდებმა ცხადჰყო, რომ ჰექტარზე დათესილი 130 კილოგრამი მარცვალი დაახლოებით 4.150.000 ძირ აღმონაცენს იძლევა და ეს სავსებით საკმარისია.

შემოდგომით ნათესი პური მარტსა და აპრილში, ესე იგი მაშინ, როცა დაახლოებით 10 სანტიმეტრის სიმაღლისა გახდა, დაფარცხეს რკინის ფარცხით („ზიგზაგით") მწკრივის საწინააღმდეგო მიმართულებით. ჯეჯილის განვითარების პერიოდში საჭიროების მიხედვით ტარდებოდა მარგვლაც.

როგორც ცნობილია, სამგორის ზონაში ნალექები ყოველთვის მეტი იცის მარტში, აპრილსა და მაისში. სართიჭალის ჯიშთა გამოცდის პუნქტმა საქმე ისე მოაწყო, რომ ამ პერიოდისათვის პურეულის დასათესად ნიადაგი წინასწარ აქვს მოხნული. ამიტომ მიწა საკმაოდ აგროვებს სინესტეს, ჰაერის ზეგავლენით იშლება, ფხვიერდება. სისტემატური დამუშავებით სარეველა მცენარეებიც ისპობა. შემოდგომით ასეთ მიწებზე დათესილი კულტურები ზამთრის ყინვამდე კარგად ასწრებენ დაბარტყება-განვითარებას და ქარით აღარ ზიანდებიან. ასეთი ნათესი გაზაფხულზე—მარტში, აპრილსა და მაისში წვიმების სახით კვლავ დიდი რაოდენობით იღებს ნალექებს ისე, რომ სავსებით ჰყოფნის ზრდა-განვითარებისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ნაკვეთი გაზაფხულის ნათესებისათვის უნდათ გამოიყენონ, აქ წინასწარ, საზაფხულო აოშვის შემდეგ, სარეველა მცენარეების კარგად განვითარების პერიოდში (აგვისტო-სექტემბერი) მიწას ხნავენ მაღლად 24-25 სანტიმეტრის სიღრმეზე. გაზაფხულზე მინდვრად გასვლის შესაძლებლობისთანავე მზრალს ფარცხავენ რკინის ფარცხით და თავთავიან კულტურებს მაშინვე გადაუხნავად სთესენ, სათოხი ნათესებისათვის კი მიწას 15-20 დღის შემდეგ გადახნავენ 12-15 სანტიმეტრის სიღრმეზე და თესვასაც იწყებენ.

გაზაფხულზე თავთავიანი კულტურები ისევე ითესება, როგორც შემოდგომაზე, ესე იგი 6 სანტიმეტრის სიღრმეზე და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. თავთავიანი მარცვლეულისათვის საკმარისია ხელით ერთხელ გამარგვლა, სიმინდისათვის კი ატარებენ ორჯერ კულტივაციას და ორჯერ გათოხნას.

საგარეჯოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო პუნქტის მიზანია: 1) სამგორის ველისათვის გამოიმუშაოს და დანერგოს ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ უხვი მოსავლის მიღებას და 2) შეარჩიოს ჯიშები, რომლებიც ადგილობრივი პირობებისათვის უფრო ხელსაყრელია.

პუნქტის მიერ გამომუშავებული ღონისძიებანი ვრცელდება კოლმეურნეობებში. ამას კარგი ნაყოფი მოაქვს. ამჟამად კოლმეურნეობებში ატვეთილია: 1) თესლის მოზნევით თესვა, 2) უხარისხო სათესლე მასალის გამოყენება და 3) ხის გუთნით ნიადაგის დამუშავება. ფართოდ არის დანერგილი აოშვა, კულტივაცია, სანეულო და მზრალად ხვნა.

პუნქტს მომსახურებას უწევს 21 კოლმეურნისაგან შემდგარი ბრიგადა. მათ შორის 16 ქალია. ბრიგადის წევრთა 80 პროცენტი სტახანოველია. მუშაობას იწყებენ დილით 7 საათზე და აგრძელებენ ღამებამდე. ბრიგადის თითოეულ წევრს წლის მანძილზე გამომუშავებული აქვს 400-500 შრომადღე. კარგი მუშაობისათვის ისინი ყოველწლიურად იღებენ პრემია-დანამატს.

პუნქტს 1938 წლიდან შემოღებული აქვს 9 მალახმინდვრიანი თესლბრუნვა, რაც წელს უნდა დამთავრდეს. წელსვე დაიწყება მეორე როტაცია და 1955 წლამდე გაგრძელდება. ჩვეულებრივად პირველი მინდორი დაკავებული აქვს ანეულს, მეორე — შემოდგომის ხორბალს, მესამე—ესპარცეტის პირველი წლის ნათესს, მეოთხე—ესპარცეტს მეორე წლისას, მეხუთე—შემოდგომის ხორბალს, მეექვსე—სიმინდს, მეშვიდე—გაზაფხულის თავთავიან კულტურას, მერვე — მზესუმზირას, ხოლო მეცხრე — შემოდგომის ქერს.

საგარეჯოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო პუნქტის ეს წარმატებანი მოპოვებულია სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების დანერგვით.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში დასახულია საპატიო ამოცანა — თვალსაჩინოდ გავადიდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა. ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტრო მოწოდებულია სისტემატურად იზრუნოს ჩვენს კოლმეურნეობებში მარცვლეულის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების გაბედულად დანერგვისათვის.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

მოწინავე მეაგურე ი. ცაბაძე აგურის გადმო ტვირთვის გეგმას სისტემატურად 165 პროცენტით ასრულებს. ფოტო რ. აკოფოვისა

სამშენ მასალათა საწარმოები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ

ბევრი ითქვა და დაიწერა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენ მასალათა საწარმოების კარგ, გამართულ მუშაობას. პარტიამ და ხელისუფლებამ ამ საწარმოებს ყველა პირობა შეუქმნეს იმისათვის, რომ მათ მზარდი რაოდენობით მიაწოდონ სამშენებლო ობიექტებს აგური, კრამიტი, ცემენტი, გაჯი, კირი, ყოველივე, რაც საჭიროა მშენებლობის დასაჩქარებლად.

უკვე განვლო მეოთხე სტალინური ხუთწლედის რვა თვემ, მაგრამ ამ საწარმოთა დიდი ნაწილის მუშაობას გაუმჯობესება არ ეტყობა.

თბილისის აგურის მესამე ქარხანას (დირექტორი გ. მანუკიანი) 20 აგვისტოსათვის უნდა დაემზადებინა 3.300.000 ცალი ნედლი და 2.270.000 ცალი გამომწვარი აგური. ნედლი აგურის გამოშვების რვა თვის გეგმა ქარხანამ მხოლოდ 66,6 პროცენტით შეასრულა, გამომწვარი აგურისა — 47,2 პროცენტით. თავისი ცუდი მუშაობით აგურის მესამე ქარხნის ხელმძღვანელებმა სამშენებლო ობიექტებს 8 თვეში დააკლეს 1.198.000 ცალი გამომწვარი აგური. მათ ცუდად იმუშავეს აგვისტოშიც. 600.000 ცალი გამომწვარი აგურის ნაცვლად გამოუშვეს 363.000 ცალი, რაც თვიური გეგმის 63,8 პროცენტს უდრის.

ჩამორჩენის მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა, ქარხნის საწარმოო სიმძლავრის აუთვისებლობა, სუსტი საწარმოო დისციპლინა, არაორგანიზებულობა. ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა დილით ქარხანაში მოსულმა მუშებმა არ იციან რა აკეთონ, ელიან ხელმძღვანელებს და ამ ლოდინში დრო უქმად იკარგება. შრომის დისციპლინა ქარხანაში მოშვებულია, ცეცხლფარეშებს, რომლებიც უნდა აწესრიგებდნენ ჰოფმანის ღუმელში ტემპერატურის რეჟიმს, ხშირად სძინავთ. მოუწესრიგებელია თიხის მზელავებისა და მეყალიბეების მუშაობაც.

ასეთ პირობებში საკვირველი არ არის, რომ ქარხნიდან ხშირად გამოდის უსტანდარტო აგური, რომელსაც მშენებლები იწუნებენ. ამ უსტანდარტო აგურით ახლაც ავსებულია ქარხნის ეზო.

დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ ქარხნის ხელმძღვანელები სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის აგურის გაცემისას. არის შემთხვევები, როდესაც კლიენტს აგური დაუთვლელად ეძლევა. ამასთან ნედლი და გამომწვარი აგურის აღრიცხვა ქარხანაში ქაოსურ მდგომარეობაშია—არავინ იცის, როდის რამდენი ცალი აგური გამოიწვა. ასეთი უთავბოლო მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ 20 აგვისტოსათვის ქარხანაში აკლდათ 200.000 ცალი აგური. ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აქ არავინ ზრუნავს, რაც მუშახელის დენადობას იწვევს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ვაკის აგურის ქარხანა (დირექტორი შ. დგვარელი). უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამ ქარხანას გეგმა არ შეუსრულებია. ახლა —სექტემბერში კიდევ უფრო შეანელეს ტემპები და ყოველდღიურ დავალებებს მხოლოდ 50-52 პროცენტით ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბლომად ჰყავთ ძველი კვალიფიციური მუშები (72 კაცი), საქმე წინ არ მიდის, რადგან მათი მიზანშეწონილად გამოყენებისათვის ნაკლებად ზრუნავენ.

ვაკის აგურის ქარხანაშიც სუსტია შრომის დისციპლინა და ადგილი აქვს მუშახელის დენადობას. აქ ვერ შესძლეს ცოტად თუ ბევრად გაეუმჯობესებინათ მუშების საყოფაცხოვრებო პირობები. ამის გამო მუშები ცდილობენ სხვაგან წავიდნენ სამუშაოდ.

საბურთალოს მშრალი წნეხვის მექანიზებულ ქარხანას მუშაობის საუკეთესო პირობები ჰქონდა და აქვს. მაგრამ ეს პირობები ვერ გამოიყენეს ამ ქარხნის ყოფილმა ხელმძღვანელებმა. მოვიდა ახალი ხელმძღვანელი. იგი დაინტერესდა საქმით, შესძლო წარმოების თავისებურებათა სიღრმეში ჩაწვდომა და მდგომარეობის გამოსწორება. უკვე მესამე თვეა საბურთალოს ქარხანა (დირექტორი ვ. მუსელიანი) წარმატებით ასრულებს აგურის გამოშვების გეგმებს. ივლისში ქარხნის კოლექტივმა აგურის გამოშვების გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა, აგვისტოში—100,6 პროცენტით. ეს მაჩვენებლები მოიპოვეს საბურთალოელმა მეაგურეებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაზე მეტად აკლიათ მუშახელი. მიღებული ზომების შედეგად ავჭალის, დიღმის, ლისის, წყნეთის, კოჯრის, მარტყოფის, ნორიოსა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები ქარხნის ხელმძღვანელებს შეჰპირდნენ თავისუფალი მუშახელის მიწოდებას. ამ ახალი მუშების მისაღებად ქარხანაში უკვე მზად არიან. მათთვის გამოყოფილია სუფთა ბინები, სურსათ-სანოვაგე და შექმნილია პირობები მოსულთა შესანარჩუნებლად.

საბურთალოს ქარხნის კოლექტივი თავდადებით მუშაობს. განსაკუთრებით გამოირჩევიან საყალიბო საამქროს უფროსი ნ. მუშკუდიანი, ინჟინერი ქ. სტეფანიძე, მწნეხავები მ. კუიანცევი და ნ. საზონოვი, გადმომტვირთავი მ. მჭამელაშვილი.

რა ნაკლი აქვს ამჟამად საბურთალოს ქარხანას?

გამომწვარი აგური ზოგჯერ უხარისხო გამოდის, რაც ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით აიხსნება. მესამე ცვლაში (ღამით) აგურის დასაყალიბებელი ადგილები კარგად არ არის განათებული, რის გამოც მუშაობა ძნელდება. ჭიანურდება ექსკავატორების შეკეთება და ამის გამო თიხის მოთხრა ბრკოლდება.

საბურთალოელ მეაგურეთა ღირსების საქმეა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის მეტი ზრუნვა, აგურის გამოშვების წლიური გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

მეოთხე კვარტალი მოახლოვდა. მთავრდება აგურის დაყალიბების სეზონი. საჭიროა მუშაობის ტემპების გაძლიერება, რათა მშენებლობანი უზრუნველვყოთ ნაღალხარისხოვანი აგურით.

ა. ტაბატაძე

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 325.438 ჰექტარზე

საქართველოს სსრ რაიონების დიდმა უმრავლესობამ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება წარმატებით დაამთავრა. 10 სექტემბრისათვის მოსავალი სულ აღებული იყო 325.438 ჰექტარზე, გეგმის 92,2 პროცენტი.

ჩამორჩნენ წალკაძის (გეგმა შესრულდა 82,2 პროცენტით), ჭიათურის (95,8), გორის (96,8), წალკის (54,3), აბიგინის (99,1) რაიონების კოლმეურნეობები.

მოსავლის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის (გეგმა შეასრულა 85,4 პროცენტით), ბორჯომის (55,2), ბოგდანოვკის (36,0) რაიონებში.

დუშეთის რაიონში გეგმა შესრულებულია 97,1 პროცენტით, თეთრი წყაროს რაიონში—98,1, თიანეთის — 99,7, საგარეჯოს—99,9, ბაშკიჩეთის—86,4, ახალქალაქის—90,4, ქვემო სვანეთის—90,3, ონის რაიონში—88,7 პროცენტით.

შეტეხილია 66.916.363 ზონარმეტრი თამბაქო

10 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს შეტეხვის გეგმა შესრულებული იყო 70,4 პროცენტით; შეტეხილია 66.916.363 ზონარმეტრი თამბაქო.

ჩამორჩნენ სიღნაღის, ყვარლისა და ბორჩალოს რაიონები. სიღნაღის რაიონში დავალება შესრულებულია 51,8 პროცენტით, ყვარლის რაიონში—56,0, ბორჩალოს—64,2, ჩოხატაურის—69,9, ლაგოდეხის—83,7, ბოლნისის — 81,5, ზუგდიდის—90,4, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—67,8, აჭარის ასს რესპუბლიკაში—69,5 პროცენტით.

მზესუმზირას აღების გეგმა შესრულებულია 76.4 პროცენტით

10 სექტემბრის ცნობებით საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მზესუმზირას მოსავალი აღებულია 13.995 ჰექტარზე; გეგმა შესრულებულია 76,4 პროცენტით.

თეთრი წყაროს რაიონმა გეგმა შეასრულა 48,9 პროცენტით, გურჯაანის რაიონმა—71,2, კაჭრეთის—92,8, სიღნაღის—94,5, წითელწყაროს—81,8, თელავის—86,1, ყვარლის—90,5, ლაგოდეხის—100,0, თბილისის — 67,8, მცხეთის—18,6, საგარეჯოს რაიონმა —44,2 პროცენტით.

ახმეტის რაიონს მზესუმზირას აღება არ დაუწყია.

სტახანოვური ბრიგადის ხელმძღვანელი

ალექსანდრე გაგოშიძე ქუთაისის საკონსერვო ქარხნიდან წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. იგი მამაცურად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზებული გაგოშიძე კვლავ დაუბრუნდა საყვარელ ქალაქს და ძველ ქარხანაში დაიწყო მუშაობა ბრიგადირად. მან მისვლისთანავე შეამოწმა ბრიგადაში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობა და 14 კაცით იკისრა იმავე სამუშაოს შესრულება, რაზეც წინათ 22 კაცი მუშაობდა. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად გაგოშიძის ბრიგადამ 10 თვის დავალება 8 თვეში შეასრულა 105 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაადიდა 40 პროცენტით. თვით ბრიგადირმა 8 თვეში გეგმის გადამეტებით 20 ტონა კონსერვი დაამზადა. ბრიგადის თითოეული სტახანოველი 150 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

როგორ მუშაობს ბრიგადირი გაგოშიძე?

მას წინასწარ აქვს შედგენილი ბრიგადის ყოველდღიური სამუშაო გეგმა. თითოეულმა მუშამ იცის, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოს. ბრიგადირს პირადი კონტროლი აქვს დაწესებული საწარმოო და შრომის დისციპლინაზე, როგორც აგიტატორი, სისტემატურად აწყობს საინტერესო საუბრებს ბრიგადის წევრთა შორის, განუმარტავს მუშებს სტახანოვური შრომის მეთოდებს, ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობას ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

გაგოშიძე ხშირად უწევს დახმარებას მეზობელ ბრიგადებსაც. 13 აგვისტოს ბრიგადა თავისუფალ საათებში მუშაობდა ნედლეულის ბაქანზე ჭარბად მიღებული პომიდორის შესანახად საამქროში, რასაც ვერ აუდიოდნენ ამ საქმისათვის გამოყოფილი მუშები.

ბრიგადის სახელით ალექსანდრე გაგოშიძემ ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რ ა ტ ო მ?

ნუ იკითხავთ რატომ.

ნუ იკითხავთ, თორემ უსიამოვნების მეტს ვერაფერს მიიღებთ სავაჭრო ქსელის ზოგი მუშაკისაგან, ტრამვაისა და ტროლეიბუსის ზოგი კონდუქტორისაგან, ლუდისა და სიროპიანი წყლის ზოგი გამყიდველისაგან, ბევრ იმათგან, რომელთაც მშრომელებთან ურთიერთობა უმთავრესად ხურდა ფულის საშუალებით უხდებათ.

23 აგვისტოს პლეხანოვის პროსპექტზე № 2 პურის წერტში მოქალაქე რიმა გაბრიელის-ასული პროკალიბო, რომელმაც ის-იყო მიიღო ნორმის პური 1 კილოგრამი და 400 გრამი, სწორედ ამ „მოუფიქრებელი" შეკითხვის გამო უსიამოვნებას გადაეყარა. როდესაც გამყიდველმა შალვა ტრიფონის-ძე გრძელიძემ მას, ჯერ ერთი, წონაში 100 გრამი პური დააკლო და შემდეგ 70 კაპიკი ხურდა არ დაუბრუნა, მოქალაქემ იკითხა — რატომ.

— რატომ და ხურდა არ მაქვს, ხომ ხედავთ, უპასუხა გამყიდველმა, რომელმაც აქეთ-დაქექა ფანერის ყუთში უწესრიგოდ ჩაყრილი ქაღალდის ფული. როცა პროკალიბოს ცდა მოსწყინდა, იძულებული გახდა სახლში წასულიყო.

მაგრამ იმავე მაღაზიაში სხვებიც იყვნენ. მათ შეამოწმეს გამყიდველის სალარო და გრძელიძეს მეორე ყუთში შენახული 7 მანეთი ხურდა აღმოუჩინეს.

— მერე რა, მე შენ გითხრა და ბაღდადის თავშალს იყიდის ამ თოთხმეტ შაურად. ეს რა ფულია, რომ ამისათვის გამცდარიყო და დაეცადნათ, — ამბობდა გრძელიძე.

პლეხანოვის პროსპექტზე ლუდს ბევრგან ჰყიდიან. ერთგან (კიოსკი № 140) ლუდის გამყიდველად მუშაობს ვინმე შუშანა გარეგინის-ასული კარაკოზიანი, ხურდა ფულის დიდი მოყვარული და ჭიქაში ლუდის ჩამოსხმის გაქნილი ოსტატი. ერთი მუშტარიც რომ მოიხელთოს, სწრაფად დატრიალდება — ჭიქას წყალს გამოავლებს, კასრიდან ლუდის ამოსაქაჩს სწრაფად აამუშავებს, თითქოს ასი კაცი უცდიდეს და... ლუდის მაგიერ ქაფით აავსებს ჭიქას. ასე ჩაიდინა მაშინაც, როცა მის შესამოწმებლად მივიდნენ. უცბად აავსო ჭიქები ქაფით. მაგრამ როდესაც ჭიქები შეამოწმეს, ერთში 75 გრამით ნაკლეზი, ხოლო მეორეში 100 გრამით ნაკლები ლუდი აღმოჩნდა.

კიდევ უფრო ხელგაწაფული აღმოჩნდა ელენე არტაშის-ასული გულუაშვილი, რომელიც ლუდის გამყიდველად მუდრო ადგილზე — ღრმაღელისაკენ (საბჭოს ქუჩა № 366) მოუწყვია რომელიღაც ნათლიმამას. მომხმარებელთათვის ხურდაზე უარის თქმა ლუდის დაკლებასთან ერთად მას წესად ჰქონია შემოღებული. ასე მოიქცა იგი 23 აგვისტოსაც, თუმცა სალაროში 7 მანეთზე მეტი ხურდა ფული აღმოუჩინეს.

— არა გვაქვს ხურდა, ბანკი არ გვაძლევს, — გაიძახიან სავაჭრო ქსელში შეპარული ყალთაბანდები.

აბა, ჰკითხეთ ლუდისა და ლიმონათის ტრესტის საჩვენებელი პავილიონის გამგეს ნ. გალაშვილს — რატომ ითვისებენ თქვენი გამყიდველები ხურდას-თქო? იმ წამსვე მოისმენთ დაზეპირებულ პასუხს: — ბანკი არ გვაძლევს იმდენ ხურდას, რომ ყველას ეყოს. მაინც [illegible] აბა რა ქნან, არ გადაახდევინონ ფული მუშტარს? ასეთი პასუხი მოისმინეს მისგან 23 აგვისტოს. პავილიონში მომუშავე არცერთ გამყიდველს მართლაც არ აღმოაჩნდა ხურდა ფული. მაგრამ როცა საქმის ვითარება საფუძვლიანად შეისწავლეს, გამოირკვა:

ნ. გალაშვილს სისტემატურად არ მიაქვს სახელმწიფო ბანკიდან მისთვის გამოყოფილი ხურდა ფული. ამ შემოწმების შედეგაც კი, 23 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე მას წაღებული აქვს 800 მანეთის ხურდა ფულის ნაცვლად მხოლოდ 350 მანეთი.

ასევე გაურბიან ბანკში ხურდა ფულის მიღებას საზოგადოებრივი კვების ტრესტის 38-ე, 105-ე, 108-ე, 124-ე სასადილოების გამგეები, თბილვაჭრობის 64-ე, 73-ე, 86-ე, 87-ე, 91-ე, 94-ე, 105-ე, 107-ე, 125-ე, 177-ე და სხვა მაღაზიების დირექტორები, მთელი რიგი იმ სავაჭრო ორგანიზაციებისა და მაღაზიების ხელმძღვანელები, სადაც ფულის ტრიალი დიდია.

ყოველივე ეს დადასტურდა 23-24 აგვისტოს „კომუნისტის" მუშა-კორესპონდენტების, სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის აქტივისტების, თბილისის საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილებისა და კვების მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული რეიდის დროს.

რეიდში მონაწილეობა მიიღეს პ. გაბელაიამ, პ. ნადარეიშვილმა, ბ. შარაბიძემ, ა. მაჭავარიანმა, მ. გოგუაძემ, ნ. ციცქიშვილმა, ო. დალაქიშვილმა, კ. ალასანიამ, რ. პაპინიანმა და ვ. ოგანეზოვამ. მათ გამოავლინეს ხურდა ფულის მითვისების მრავალი ფაქტი პურის სავაჭრო ქსელში, გამაგრილებელ სასმელთა პავილიონებსა და კიოსკებში, კომუნალური დაწესებულებებისა და ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში. ბევრი წამგლეჯის საქმე გადაეცა პროკურატურის ორგანოებს, მაგრამ მათი დასჯა რატომღაც ჭიანურდება. პროკურატურის ორგანოებზე გადაცემულია, მაგალითად, ხურდის სისტემატურად მიმთვისებლების აშოტ ზარგარიანის (პურის გამყიდველი), ანტონინა ბუტლანიკოვას (მოლარე), ელენე კაჭარავას (სამტრესტის № 2 მაღაზიის მოლარე), ოლღა მიქიაშვილის (სიროპიანი წყლის გამყიდველი), ამზარცუმ ჩირკინიანის (ჟურნალ-გაზეთების № 17 კიოსკის გამყიდველი) და სხვათა საქმე.

რას გვეტყვის პროკურატურა?

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ბრუნვაში გაუშვა 120.000 მანეთი ხურდა ფული. მაგრამ იგი მაინც „არა აქვთ" მაღაზიებში გამყიდველებსა და მოლარეებს ტრამვაისა და ტროლეიბუსის კონდუქტორებს, „არა აქვთ", იქ სადაც ხურდა ფულის ტრიალს მასობრივი ხასიათი აქვს.

რატომ სჩადიან ამას? იმიტომ ხომ არა, რომ მოლარეებს, კონდუქტორებს, დახლის უღირს მუშაკებს ხურდა ფულზე ხელის მოთბობის საშუალება მისცეს?

თუ ამიტომ არა, მაშ ერთხელ კიდევ ვიკითხოთ:

რატომ?

დ. ლომთაძე, გ. ხენჩავა

საქართველოს რაიონებში

ქ უ თ ა ი ს ი

კომერციული სამრეწველო მაღაზია

გაიხსნა კომერციული სამრეწველო მაღაზია, რომელიც სანიმუშოდ არის მოწყობილი.

მაღაზიას აქვს ფართლეულის, მზა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, გალანტერეის, ტრიკოტაჟის, საოჯახო საქონლის სექციები.

პირველ დღეებში 8 მილიონი მანეთის საქონელი გაიყიდა.

გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო მეოთხე სტალინური ხუთწლედისადმი მიძღვნილი გამოფენა. სტენდებზე წარმოდგენილია მოკავშირე რესპუბლიკების მაჩვენებლები ფოტოსურათებითა და დიაგრამებით.

სკოლის ახალი შენობა

წერეთლის ქუჩაზე აიგო ახალი სასკოლო შენობა 8-წლიანი სკოლისათვის.

გ ო რ ი

საკონსერვო ქარხნის რეკონსტრუქცია

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებულია საკონსერვო ქარხნის მნიშვნელოვანი გაფართოება.

დაიწყო ქარხნის წინ მდებარე 1905 წლის რევოლუციის ქუჩის მოკირწყვლა-მოასფალტება, სწარმოებს ქარხნის ტერიტორიის გამწვანება.

უახლოეს ხანში აშენდება მაცივარი, აიგება საცხოვრებელი სახლი მუშა-მოსამსახურეთათვის, აგრეთვე საბავშვო ბაღის ახალი შენობა.

ქარხნის კეთილმოწყობისათვის გადადებულია 3,5 მილიონი მანეთი.

დახმარება ომის ინვალიდებს

სოფელ ბერბუკის კოლმეურნეობა დიდ დახმარებას უწევს ომის ინვალიდებს. კოლმეურნეობამ სამამულო ომის მონაწილეთა ერთ ოჯახს აუშენა სახლი, ხოლო 16 ოჯახს ხორბლით დაეხმარა. საცხოვრებელ ბინას უშენებენ ადგილობრივი სკოლის მასწავლებელს ვ. მეზვრიშვილს.

სასპორტო საზოგადოება „დინამო"

გორში შეიქმნა სასპორტო საზოგადოება „დინამო". ჩამოყალიბებულია სპორტული წრეები და სექციები.

ლიტერატურული წრე

ლიტერატურული ახალგაზრდობა გაერთიანებულია კულტურის სარაიონო სახლთან არსებულ წრეში. აქ იმართება დამწყები მწერლების ნაწარმოებთა წაკითხვა-განხილვა, დისპუტები, ლექცია-მოხსენებები. კონსულტაციისათვის წრეში ხშირად იწვევენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებს.

მეჯვრისხევის კლუბი

სოფელ მეჯვრისხევს აქვს საკუთარი საკოლმეურნეო კლუბი. სცენის მოყვარულთა დასს მასწავლებელი ნ. ბერიანიძე ხელმძღვანელობს. დასმა ცაგარელის პიესის—„ციმბირელის" დადგმით მიიღო ქების სიგელი.

კლუბში დაიდგა აგრეთვე პიესები: „ხანუმა", „ძალად ექიმი", „ეჭვით ავადმყოფი", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" და სხვა.

საინტერესო შეჯიბრება

ამ დღეებში ჩატარდა შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ გორისა და ქუთაისის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა გორელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 1.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲨᲘ

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. Რ. Ა. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝᲡ საბოლოო სიტყვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხზე *

სდ-ის თანამშრომლებს ჩინებულად ესმოდათ თუ რა როლი უნდა შეესრულებინათ მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამონებული ხალხების ფიზიკური მოსპობის ჰიტლერელთა ურჯულო გეგმების განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია საბჭოთა ბრალდების მიერ წარმოდგენილი ნადავლი გერმანული დოკუმენტი, რომელიც პოლონეთის არმიის ჯარებმა ხელთ იგდეს სდ-ში — ბლოკშტელში მოგილნოში (პოლონეთი).

ბლოკშტელში მყოფი ვინმე ეგერისი, სს-ის ჰაუპტშტურმფიურერი სდ-ის ინფორმატორებისათვის გაგზავნილ ამ წერილში აცნობებს მათ ჰიმლერის 1940 წლის 15 მარტის სიტყვას, რომლითაც იგი პოლონეთში განლაგებული საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტებისაგან მოითხოვდა, რათა მათ ჯერ გამოეყენებინათ კვალიფიციური პოლონელი მუშები საკონცენტრაციო ბანაკების სამხედრო მრეწველობის სისტემაში, შემდეგ კი მოესპოთ ყველა პოლონელი. ამიტომ სს-ის მოგილნოელი ჰაუპტ-

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ

ამ სასამართლო პროცესის მსვლელობაში ზოგიერთი ბრალდებული, დამცველი და დაცვის მოწმე ჰიტლერული გერმანიის გენერლების რიცხვიდან არაერთგზის ცდილობდა გერმა-

[...]

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

Გ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

Ა. ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

Ბ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ

[...]

მანიაში ყველა გერმანელისათვის უკვე „მაინ კამპფის" გამოქვეყნების შემდეგ. მათ ფართოდ უწევდნენ პროპაგანდას და ავრცელებდნენ დღითი დღე, თვიდან თვემდე.

ეს გეგმები იმთავითვე აღიარეს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელებმა, რომლებმაც შემდეგში თავიანთი სამხედრო გამოცდილება და ცოდნა ჰიტლერული სახელმწიფოს სამსახურს მოანდომეს.

მაგრამ მე განზრახვა არა მაქვს დაწვრილებით შევეხო ჰიტლერული სახელმწიფოს და მისი სამხედრო მანქანის ისტორიას იმისათვის, რომ დავამტკიცო ახლა, თუ როდის და რა პირობებში წარმოიშვა გერმანიის ხელმძღვანელი სამხედრო წრეების დანაშაულებრივი საქმიანობა.

მე მსურს მხოლოდ მოგაგონოთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დამამტკიცებელი საბუთი, რომლებიც უკვე ომის დაწყების პერიოდს ეხებიან.

ჯერ კიდევ 1939 წლის 23 მაისს ახალ საიმპერიო კანცელარიაში უმაღლეს სამხედრო უფროსებთან თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა:

[...]

მიერ გამოქვეყნებული ბრძანება გერმანიის XI არმიის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ ფონ მანშტაინისა, რომელშიც იგი ჰიტლერის მითითებათა სულისკვეთებით აყალიბებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის პოლიტიკურ მიზნებს, არაორჭოფულად აცნობებს თავის ხელქვეითებს, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოესპოთ იქ არსებული სახელმწიფო ხელმძღვანელობის პოლიტიკური სისტემა.

ყოველივე ამის შემდეგ უცნაურად გაისმის ჰიტლერული გენერლის ფონ მანშტაინის სიტყვები იმის შესახებ, რომ იგი იყო მხოლოდ ჯარისკაცი, რომელსაც არ გაეგებოდა ჰიტლერული მთავრობის პოლიტიკა.

ეს ბრძანება გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ გენერლებს გაეგებოდათ ომის პოლიტიკური მიზნები, არამედ მათ მიერ ამ მიზნების სრულ მოწონებასაც. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. რა უნდა ექნა ჰიტლერსა და მის ხროვას, სამხედრო სპეციალისტებს, გერმანიის არმიის გენერალიტეტს რომ მისი გეგმები არ მოეწონებინათ.

[...]

ხება, აბსოლუტურად არაფერი არ ღირს და რომ დამაშინებელი ზეგავლენა შეიძლება მხოლოდ არაჩვეულებრივი სიმკაცრის გზით".

შეიძლება აგრეთვე აღვნიშნოთ შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ბრძანებანი საბჭოთა სამხედრო ტყვე კომისრების მოსპობის, საბჭოთა სამხედრო ტყვეების დადაღვის შესახებ, ბრალდებულ გერინგის ბრძანება—მოკავშირე არმიების ტყვედ წაყვანილ მფრინავთა მოსპობის, ოკუპირებული ტერიტორიების გაძარცვისა და გერმანიაში იძულებითი სამუშაოზე მშვიდობიანი მოსახლეობის გარეკვის შესახებ. ბრალდებულ დენიცის ბრძანება, რომელიც კრძალავდა ჩაძირული გემებიდან ადამიანების გადარჩენას, ყოფილ გენერალ-ფელდმარშალ რაიხენაუს ბრძანება „აღმოსავლეთში ჯარების ყოფაქცევის შესახებ" და მრავალი სხვა.

ყველა ამ ბრძანებამ ახლა უკვე საზოგადო ჰნიშვნელობა მოიპოვა.

ეს დანაშაულებრივი ბრძანებანი არ რჩებოდნენ ბრძანებად მხოლოდ ქაღალდზე. როგორც ამის წარმოდგენას ცდილობდა აქ ზოგიერთი მოწმე. მაგალითად, ფონ ბრაუხიჩი, ან

[...]

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

*) გაგრძელება, დასაწყისი იხ. „კომუნისტის" № № 178, 179, 180, 181, 182, 183.

ᲡᲐᲒᲐᲤᲘᲪᲕᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალ მეზღვაურთა გაფიცვით იწყება საარსებო დონის შემცირების წინააღმდეგ ამერიკელ მუშათა ბრძოლის ახალი ეტაპი. ეს ბრძოლა ახლა დაიწყეს ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალმა მეზღვაურთა პროფკავშირებმა, თუმცა ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერთა მთელი პოლიტიკა გაფიცვების წინააღმდეგ არის მიმართული. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი პროფკავშირების წევრები მხარს უჭერენ გაფიცულ მეზღვაურებს. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წევრი მეზღვაურები მონაწილეობას იღებენ ნავსადგურებში გემებისა და ნავმისადგომების პიკეტირებაში, რომელსაც ამერიკის შრომის ფედერაციის წევრი მეზღვაურები ატარებენ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალ მეზღვაურთა კავშირის წარმომადგენელმა ჰოლმა განაცხადა, რომ „თუ მთავრობა შეეცდება გამოიყენოს სამხედრო მეზღვაურები სავაჭრო გემების მომსახურებისათვის, მთელ შეერთებულ შტატებში გამოცხადებულ იქნება ყველა ორგანიზებული მუშის საყოველთაო გაფიცვა".

ჟურნალი „[illegible]" წერს, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა რეალური ხელფასი [illegible] ნაკლებია, ვიდრე 1946 წლის დამდეგს იყო. რეალური ხელფასის დაცემა თუ გაგრძელდა, სწერს ჟურნალი, გარდუვალია გაფიცვათა ახალი ტალღა, რომელსაც შეუძლია ახალი ეკონომიური კრიზისი გამოიწვიოს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ თეთრ სახლში (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენცია) განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქნას აცილებული თავიდან ხელფასის მომატების მოთხოვნები და ამასთან დაკავშირებული გაფიცვები.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). გრძელდება მეზღვაურთა და ნიუ-იორკის სატვირთო მანქანების მძღოლთა გაფიცვები. მეზღვაურთა გაფიცვამ, რომელმაც მოიცვა 200 ათასზე მეტი მატროსი, მტვირთავი, აგრეთვე საპუქსირო გემების მუშები, შეაჩერა ნაოსნობა ატლანტისა და წყნარი ოკეანეების სანაპიროზე.

მტვირთავთა გაფიცვა სერიოზულად უშლის ხელს სურსათის შეტანას ნიუ-იორკში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲮᲡᲜᲘᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა, რომ იგი ხსნის ნიუ-იორკის შტატის საარჩევნო სიებში შეტანილ ყველა თავის კანდიდატს იმასთან დაკავშირებით, რომ „საჭიროა მუშათა პროგრესული მოძრაობის ყველა ძალების უღრესად ფართო ერთიანობა საერთო საარჩევნო ფრონტში დემოკრატებთან ერთად, რათა დამარცხებულ იქნას რეაქციონერი რესპუბლიკელის დიუის კანდიდატურა", რომელიც „უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს შტატის მშვიდობის, პროგრესისა და აყვავებისათვის". მაგრამ ნიუ-იორკის შტატის კომუნისტური პარტიის ლიდერი ტომპსონი რჩება შტატის რევიზორობის კანდიდატად მას შემდეგ, რაც მოხსნილ იქნა მისი გუბერნატორობის კანდიდატურა.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 11 სექტემბერი. (საკდესი). დაზუსტების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობები ბულგარეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების შესახებ. ხმის უფლების მქონე 4.506.642 კაციდან რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 4.129.544 კაცმა ანუ 91,67 პროცენტმა. მათგან სახალხო რესპუბლიკას ხმა მისცა 3.832.001 კაცმა ანუ 92,72 პროცენტმა. მონარქიას ხმა მისცა 175.007 კაცმა, რაც 4,24 პროცენტს შეადგენს. გაბათილებულად იქნა ცნობილი 122.526 ბიულეტენი.

ᲘᲡᲞᲐᲰᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც 8 სექტემბერს საღამოს გაზეთმა „ეთელაატმა" გამოაცხადა, იმის გამო, რომ ისპაჰანში აღმოჩენილია შეთქმულება მთავრობისა და ქვეყნის უშიშროების წინააღმდეგ, იქ გამოცხადებულია სამხედრო წესები.

7 სექტემბერს მოზაფარ ფირუზის ბრძანებით დაპატიმრებულ იქნენ ბახტიარის ერთ-ერთი გუბერნატორი ჯეხან-შაჰ სამსამ ბახტიარი (რომელიც ცნობილია თავისი კავშირით ინგლისელთა წრეებთან) და მისი ძმა ამირ ბაჰმანი, რომლებსაც ბრალდებათ შეთქმულებაში მონაწილეობა.

სამხედრო წესების შემოღების შესახებ მოზაფარ ფირუზის მიერ ისპაჰანში გამოცემულ დეკლარაციაში მოყვანილია ცნობა შეთქმულების აღმოჩენისა და რეაქციონერთა და ავანტიურისტთა დაპატიმრების შესახებ.

გაზეთი „ეთელაატი" აგრეთვე იუწყება, რომ უერადანში (ისპაჰანის ახლოს) მოხდა შეტაკება ირანის სახალხო და დემოკრატიული პარტიების წევრებს შორის, რის შედეგადაც დაჭრილია რამდენიმე კაცი.

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 10 სექტემბერი. (საკდესი). ბეირუთის გაზეთები „ტელეგრაფი", „ორიანი" და სხვები ბეჭდავენ დამასკოს გაზეთის „ალ-იაკზათის" ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ, ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ორი თვის წინათ სირიასა და ინგლისს შორის დადებულ იქნა საიდუმლო სამხედრო შეთანხმება.

შემდეგ გაზეთი „ალ-იაკზათი" სწერს, რომ ინგლისის ბრიგადის გენერალი ფოქსი დანიშნულია სამხედრო ექსპერტად სირიის მთავრობასთან.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲜᲘ ᲡᲐᲑᲝᲢᲐᲟᲡ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲡ

ᲕᲔᲜᲐ, 10 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე" აღნიშნავს, რომ ავსტრიის დედაქალაქის მუნიციპალური ხელისუფალნი საბოტაჟს უწევენ სახელმწიფო აპარატის წმენდის კანონს და მაუდქვეშ სდებენ იმ შემოწმებულ ანტიფაშისტთა შუამდგომლობებს, რომელთაც მუნიციპალურ დაწესებულებებში სასამსახუროდ შესვლა სურთ.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

13 სექტემბერს, 5 საათზე, თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პროსპექტი, № 184) შესდგება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **ვ. ვ. ლინდეს** საჯარო ლექცია თემაზე: **„მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის საკითხები სსრ კავშირში".**

ლექციაზე მოწვეული არიან მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის მუშაკები.

შესვლა თავისუფალია.

13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს ლექციას თემაზე: **„შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანები მეოთხე ხუთწლედში".**

ლექციას წაიკითხავენ **დოცენტი დგებუაძე** და **დოცენტი პაპავა.**

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

13 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირული პოლიტწრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„კომკავშირულ პოლიტწრეებში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის მეთოდიკა".** სემინარს უხელმძღვანელებს **ამხ. ნოლიანიძე.**

13 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია ფილოსოფიაში. კონსულტაციას ჩაატარებს **ამხ. ქორიძე.**

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

„კომუნისტის" 11 სექტემბრის ნომერში მე-3 გვერდზე მოთავსებულ წერილში სათაურით—„შავი ზღვის სრუტეების თაობაზე დადებულ კონვენციის გადასინჯვის შესახებ", უკანასკნელი აბზაცის პირველი წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „ჩვენი მთავრობის ახალი წინადადებანი ცხადჰყოფენ, თუ რაოდენ თანმიმდევრული და პრინციპულია საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი სრუტეების რეჟიმის შესახებ".

პასუხისმგებელი რედაქტორი **Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული დაუსწრებელი სწავლების განყოფილება აწარმოებს სტუდენტთა მიღებას 1946-47 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. აგრონომიულ ფაკულტეტზე, 2. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე. 3. სუბტროპიკულ ფაკულტეტზე. 4. სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე.

განცხადებების მიღება სწარმოებს 15 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები 20 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან წლოვანების განუსაზღვრელად ყველა ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი.

უგამოცდოდ მიიღებიან სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი „ფრიადზე", აგრეთვე ის პირები, რომელთაც 1945 და 1946 წლებში საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით. ეს უფლება ვრცელდება იმ პირებზეც, რომელთაც ტექნიკუმი დაამთავრეს „ფრიადზე" და მოხვდნენ 5-პროცენტიან გამოშვებაში.

მიღების დროს უპირატესობა ენიჭებათ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

განცხადება იგზავნება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი 3×4 სანტ. შემდეგი მისამართით:

ქ. თბილისი, მარქსის ქ. № 35. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველ დღე კანცელარიაში 9 საათიდან 5 საათამდე.

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

მოქალაქე **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲚᲝᲕᲐᲩᲔᲕᲛᲐ,** საველე ფოსტა № 52872, აღძრა საქმე მსროლელთა ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲮᲔᲚᲔᲕᲘᲙᲘᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შვილი ქეთუშა იუწყება **ალექსანდრე გიორგის-ძე კვინიხიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/IX, 7 ს. გამოსვენება 14/IX, 5 ს. ა.-ქ. ფედერაციის, 14.

[...]